ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერალიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1930 წლის ნოემბრის 25.	№ 20. განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 221. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა და სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

„ 222. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-15 მუხლის „თ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

„ 223. ბამბის ნათესების საქონლის მიშვებით წახდენისა და განადგურების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

„ 224. საბინაო კოოპერაციის სახლ.-კოლექტივების აშენების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

„ 225. საბჭოების არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„ 226. ა/კსფსრ საბჭოთა არჩევნებისათვის მოწყობილ საარჩევნო კომისიებში ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლობის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 227. ა/კსფსრ-ში ბამბის მოკრეფისა და დამზადების კამპანიის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 228. იმ საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური დარიბი და საშუალო მეურნეობების დასაპრემირებლად ფონდის შექმნის შესახებ, რომელთაც თავი გამოიჩინეს საბამბე აყრალის ნატარების დროს.

„ 229. სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული ამიერკავკასიის რადიო-საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ 230. „ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის დებულების“ 1, 2, და 3 მუხ., მე-5 მუხლის „ბ“, „დ“ და „ე“ პუნქტებისა, მე-6 მუხლის „თ“ პუნქტისა და 11, 12, 13, 15, 18, 19 და 20 მუხლების შეცვლისა და მე-14 მუხლის ამოშლის შესახებ.

„ 231. „ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტის დებულების“ დამატების შესახებ.

მუხ. 232. ქალაქების საგარეთუბნო საბჭოთა მეურნეობების დაფინანსების გეგმის შესრულებისათვის საჭირო ლონისძიებათა შესახებ.

„ 233. დაწესებულ ნორმაზე უფრო ნოტიო და დანაგვიანებული ბამბის ფასის მონაკლების გადიდების შესახებ

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

221. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა და სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო დადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემომდევნო დროებით დებულება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა და სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ნოემბრის 12.
ტფილისი-სასახლე.

დროებითი დებულება

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო საბჭოებისა და სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

I. საბჭოთა სარაიონო ყრილობას დაეკისრება:

ა) განსაზღვროს, სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რაიონის ტერიტორიაზე ადგილობრივი საბჭოების მოქმედების წესი საბიუჯეტო უფლებათა სფეროში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაამტკიცოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განზრახულებანი შემდეგ საკითხებზე:

1) რაიონსა, სასოფლო საბჭოებსა და რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქებს შორის შემოსავალ-გასავლის განაწილების შესახებ, სათანადო წესების დაცვით;

2) ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებთა სახეებისა და განაკვეთების შესახებ სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, აგრეთვე ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებთა ნუსხისა და განაკვეთების შესახებ;

3) სარაიონო მოწესრიგების ფონდში გადასადები ანარიცხების რაოდენობის შესახებ, აგრეთვე ამ ფონდიდან-რაიონის მცირე-ძალოვან ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულებისათვის მისაცემი-დახმარების რაოდენობის შესახებ;

შენიშვნა. შემოსული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, იმ ნაწილის გარდა, რაც სასოფლო და საქალაქო ბიუჯეტებში შედის, ნაწილი გადაირიცხება მოწესრიგების ფონდში; ამ ნაწილის რაოდენობას თვითეული რაიონისათვის განსაზღვრავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო;

გ) გაანაწილოს რაიონის ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულებს შორის ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსების განსაკუთრებული ფონდიდან გადასადები დახმარება;

დ) მოაწყოს, მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სარაიონო მნიშვნელობის სპეციალური ფონდები და კაპიტალები;

ე) დაამტკიცოს სარაიონო ბიუჯეტი და აგრეთვე რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტების ჯუმლი;

ვ) დაამტკიცოს სარაიონო ბიუჯეტის აღსრულების ანგარიში და აგრეთვე რაიონის ტერიტორიაზე ბიუჯეტების აღსრულების ანგარიშების ჯუმლი.

II. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება:

ა) განიხილოს და წარუდგინოს საბჭოთა სარაიონო ყრილობას დასამტკიცებლად განზრახულებანი ყველა იმ საკითხის გამო, რაც საბჭოთა სარაიონო ყრილობის გამგებლობაშია;

ბ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ადგილობრივი საბჭოების მოქმედებას ადგილობრივი ფინანსების სფეროში რაიონის ტერიტორიაზე;

გ) განკარგოს ქონება და საწარმო, რაც სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაშია, და აგრეთვე თვალყური ადევნოს ამ ქონების და საწარმოს შესაფერ ექსპლოატაციას და იჯარით გაცემას საქმეს;

დ) გადასწყვეტოს საბჭოთა ყრილობიდან ყრილობამდე საკითხები, რაც შედგენს საბჭოთა ყრილობის გამგებლობის საგანს, და წარუდგინოს ამ საკითხების თაობაზე მიღებული დადგენილებები ოახლოეს საბჭოთა ყრილობას დასამტკიცებლად;

ე) გაანაწილოს ადგილობრივი ქონება და საწარმონი რაიონსა, სასოფლო საბჭოებსა და რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქებს შორის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) გაანაწილოს შემოსავალ-გასავალი სარაიონო, საქალაქო და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტებს შორის და შემდგომ წარუდგინოს ეს განაწილება დასამტკიცებლად საბჭოთა ყრილობას;

ზ) შედგინოს სარაიონო ბიუჯეტი და რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტების ჯამი და წარუდგინოს იგი საბჭოთა სარაიონო ყრილობას დასამტკიცებლად; აგრეთვე საბოლოოდ დაამტკიცოს სასოფლო საბჭოებისა და რესპუბლიკური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის უშუალოდ არა-დაქვემდებარებული საქალაქო საბჭოების ბიუჯეტები; განიხილოს და დაამტკიცოს სარაიონო ბიუჯეტის აღსრულების ანგარიში და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საბჭოთა ყრილობას; განიხილოს და დაამტკიცოს სასოფლო საბჭოებისა და ზემოაღნიშნული საქალაქო საბჭოების ბიუჯეტების აღსრულების ანგარიშები; განიხილოს სარაიონო ბიუჯეტში შესატანი შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვები იმ სასოფლო საბჭოებისა, რომელთაც დამოუკიდებელი ბიუჯეტები არა აქვთ;

თ) აღასრულოს სარაიონო ბიუჯეტი და თვალყური ადევნოს სხვა ადგილობრივი ბიუჯეტების აღსრულებას რაიონში;

ი) გადაიტან-გადმოიტანოს განსაკუთრებულ შემთხვევაში კრედიტები სარაიონო ბიუჯეტის ერთი და იმავე კარის ფარგლებში და აგრეთვე ერთი კარიდან მეორე კარში, ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება იმავდროოულად უნდა აცნობაცნობოს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს;

კ) განსაზღვროს ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებთა სახეები და განაკვეთები რაიონისათვის სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, და აგრეთვე ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებთა ნუსხა და განაკვეთები და ყოველივე ეს შემდგომ წარუდგინოს დასამტკიცებლად საბჭოთა სარაიონო ყრილობას;

ლ) მოაწყოს მოწესრიგების სარაიონო ფონდი; განსაზღვროს ამ მოწესრიგების ფონდიდან გასაცემი დახმარების რაოდენობა;

მ) გამოჰყოს სარაიონო ბიუჯეტიდან განსაკუთრებული ადგილობრივი ფონდები და სპეციალური დანიშნულების კაპიტალები სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წარუდგინოს ეს დასამტკიცებლად საბჭოთა სარაიონო ყრილობას; გადასდოს, მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან ანარიცხები სარაიონო ბიუჯეტში და და აგრეთვე რაიონის სასოფლო და საქალაქო ბიუჯეტებში;

ნ) გადასწყვიტოს საკითხები სარაიონო ბიუჯეტზე მყოფ ცალკეულ დაწესებულებათათვის კრედიტების მესამე ხარისხის განმკარგულებელის უფლების მიცემის შესახებ;

ო) ხელმძღვანელობა გაუწიოს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და აგრეთვე ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების გადახდევინებას; გადაახდევინოს რაიონის ტერტორიაზე, ქალაქებისა და დამოუკიდებელი ბიუჯეტების მქონე სასოფლო საბჭოების გამოკლებით, ადგილობრივი გადასახადები და გამოსაღები; განიხილოს, ზედამხედველობის წესით და საჩივრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით, ადგილობრივი ორგანოების მოქმედება და განკარგულება ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების და არასაგადასახადო შემოსავლის გადახდევინების სფეროში, მომქმედი კანონების თანახმად; გადასწყვეტოს საკითხები ადგილობრივი გადასახად-გამოსაღებისა და აგრეთვე სარაიონო ბიუჯეტში შესატანი არასაგადასახადო შემოსავლის გადახდის ვადის გადადებისა და განაწილებისა, მოხსნისა და შეტანილი თანხების დაბრუნების შესახებ;

პ) აღნუსხოს დასაბეგრი წყაროები;

ჟ) განკარგოს, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების თანახმად, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარე სამრეწველო, სავაჭრო და კომუნალურ საწარმოთა შემოსავალი, აგრეთვე სხვა წყაროების შემოსავალი, რაც მიკუთვნებულია სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისათვის; მონაწილეობა მიიღოს რაიონის ტერიტორიაზე მომქმედ, რესპუბლიკანური მნიშვნელობის სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა მოგებაში, უკეთუ საამისო უფლება გათვალისწინებულია აღნიშნულ საწარმოთა მიმართ ცენტრალური ორგანოების დადგენილებებით;

რ) ხარჯოს, თვითდაბეგრის წესით შეკრეფილი სახსარი, რაც დანიშნულია რამდენიმე ისეთი სოფლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომელნიც გაერთიანებულ არ არიან ერთ სასოფლო საბჭოდ; ხელმძღვანელობა გაუწიოს თვითდაბეგრის ჩატარებას და თვალყური ადევნოს თვითდაბეგრის წესით შეკრეფილი სახსარის სათანადოდ გამოყენებას;

ს) აიღოს სესხი და დასდოს სხვა გარიგება ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა თაობაზე მომქმედი კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში;

ტ) აღძრას შუამდგომლობა უმაღლესი ორგანოების წინაშე, არსებული წესისამებრ, რაიონის ტერიტორიაზე ახალ გადასახად გამოსაღებთა შემოღების ან ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებთა უკიდურესი განაკვეთების გადიდების შესახებ.

III. საქალაქო საბჭოს დაეკისრება:

ა) შეადგინოს, განიხილოს და დაამტკიცოს ადგილობრივი საქალაქო ბიუჯეტი და წარუდგინოს იგი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს;

შენიშვნა 1. საქალაქო საბჭო: ა) დაამტკიცებს მისი ქვემდებარე სასოფლო საბჭოს ბიუჯეტს, უკეთუ მას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი; ბ) განიხილავს საქალაქო ბიუჯეტში შესატან შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას იმ სასოფლო საბჭოსას, რომელსაც დამოუკიდებელი ბიუჯეტი არა აქვს;

შენიშვნა 2. ის საქალაქო საბჭო, რომელიც უშუალოდ რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს არ ექვემდებარება, ბიუჯეტს და ამ ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშს საბოლოო დამტკიცებისათვის წარუდგენს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს;

ბ) განიხილოს და გადასწყვეტოს, არსებული კანონმდებლობისა და დადგენილებების საფუძველზე, ის საკითხები, რაც ადგილობრივი ფინანსების სფეროში ქალაქს ეხება;

გ) განკარგოს ქონება და საწარმონი, რაც საქალაქო საბჭოს გამგებლობაშია, და აგრეთვე თვალყური ადევნოს ამ ქონებისა და საწარმოთა სათანადო ექსპლოატაციას და იჯარით გაცემას;

დ) განსაზღვროს ქალაქის ფარგლებში ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებთა სახეები და განაკვეთები მომქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ;

ე) შეასრულოს ბიუჯეტი ქალაქის ტერიტორიაზე;

ვ) განიხილოს და დაამტკიცოს ქალაქის ბიუჯეტის აღსრულების ანგარიში და წარუდგინოს იგი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს;

ზ) თვალყური ადევნოს ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებთა გადახდევნებას ქალაქის ტერიტორიაზე და აგრეთვე აღნუსხოს დასაბეგრი წყაროები;

თ) აღძრას უმაღლესი ორგანოების წინაშე შუამდგომლობა იმ ახალ ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებთა შემოღების შესახებ, რაც გათვალისწინებული არ არის ქალაქის ტერიტორიაზე მომქმედ ნუსხაში, ან ადგილობრივ გადასახად-გამოსაღებთა უკიდურესი განაკვეთების გადიდების შესახებ;

ი) გადასწყვიტოს საკითხები ქალაქის ბიუჯეტში შესატანი, ადგილობრივი მნიშვნელობის არასაგადასახადო შემოსავლის გადახდის ვადის გადადებისა და განაწილებისა, მოხსნისა და შეტანილი თანხების დაბრუნების შესახებ, აგრეთვე საქალაქო ბიუჯეტში სავსებით შესატანი ადგილობრივი გადასახად გამოსაღების გადახდის ვადის გადადებისა და განაწილებისა, მოხსნისა და შეტანილი თანხების დაბრუნების შესახებ;

კ) აიღოს სესხი და დასდოს სხვა საკრედიტო გარიგება მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ლ) გადაიტან-გადმოიტანოს კრედიტები ქალაქის ბიუჯეტის ერთიდაიმავე კარის ფარგალში, აგრეთვე ერთი კარიდან მეორე კარში, ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება იმავდროულად უნდა აცნობოს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს;

შენიშვნა. ის საქალაქო საბჭო, რომელიც უშუალოდ რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს არ ექვემდებარება, კრედიტების გადატან-გადმოტანას აცნობებს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს;

მ) გადასწყვიტოს საკითხები საქალაქო საბჭოს ბიუჯეტზე მყოფ ცალკეულ დაწესებულებათათვის კრედიტების მესამე ხარისხის განმკარგულებელის უფლების მიცემის შესახებ;

ნ) მოაწყოს ადგილობრივი ფონდები და სპეციალური დანიშნულების კაპიტალები მომქმედი კანონების ფარგლებში;

ო) მოაწყოს იმ ქალაქში, რომელიც უშუალოდ რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ექვემდებარება, მოწესრიგების ადგილობრივი ფონდი;

შენიშვნა. შემოსული სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, იმ ნაწილის გარდა, რაც სასოფლო ბიუჯეტში შედის, და ქალაქის მიწებზე შემოსული სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან ნაწილი გადაირიცხება მოწესრიგების ფონდში; ამ ნაწილის რაოდენობას თვითეული საქალაქო საბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის განსაზღვრავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რეს-
პუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო;

პ) მოაწყოს, კანონით დადგენილი წესისამებრ, საქალაქო სარაიონო საბ-
ჭო; განსაზღვროს მისი უფლება-მოვალეობანი ადგილობრივი ფინანსების სფე-
როში; დაადგინოს სარაიონო საბჭოს შემოსავალ-გასავლის ნუსხა; აგრეთვე განი-
ხილოს და დაამტკიცოს სარაიონო საბჭოს მიერ დადასტურებული მისი ბიუჯეტი
და ბიუჯეტის აღსრულების ანგარიში.

IV. სასოფლო საბჭოს დაეკისრება:

ა) შეადგინოს და წინასწარ დაამტკიცოს სასოფლო საბჭოს ბიუჯეტი და
წარუდგინოს იგი საბოლოო დამტკიცებისათვის სარაიონო აღმასრულებელ კო-
მიტეტს;

შენიშვნა. ის სასოფლო საბჭო, რომელიც ექვემდებარება დამოუკი-
დებელ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ერთეულის სახით გამოყოფილ საქა-
ლაქო საბჭოს, და რომელსაც აქვს თავისი ბიუჯეტი, წარუდგენს ამ ბიუ-
ჯეტს საბოლოო დამტკიცებისათვის საქალაქო საბჭოს, ხოლო ის სასოფ-
ლო საბჭო, რომელსაც საკუთარი ბიუჯეტი არა აქვს, თავის შემოსავალ-
გასავლის ხარჯთაღრიცხვას წარადგენს საქალაქო ბიუჯეტში შესატანად;

ბ) აღასრულოს სასოფლო საბჭოს დამტკიცებული ბიუჯეტი და წარუდგი-
ნოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ამ ბიუჯეტის აღსრულების ანგარიში;

გ) განკარგოს ქონება და საწარმონი, რაც სასოფლო საბჭოს გამგებლო-
ბაშია, და აგრეთვე თვალყური ადევნოს ამ ქონებისა და საწარმოთა სათანადო
ექსპლოატაციას და იჯარით გაცემას;

დ) გადაახდევინოს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე სასოფლო საბჭოს
ბიუჯეტში შემავალი ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები; აღნუსხოს და-
საბეგრი ობიექტები და აგრეთვე შეადგინოს დასაბეგრავ პირთა და მეურნეო-
ბათა სია;

ე) გადასწყვიტოს საკითხები არასაგდასახადო შემოსავლისა და სასოფლო
საბჭოს ბიუჯეტში შემავალი ადგილობრივი გადასახად-გამოსაღების გადახდის
ვადის გადადების და განაწილებისა და მოხსნის შესახებ;

ვ) ჩაატაროს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და განსაზღვროს,
მომქმედი კანონების თანახმად, გადახდის ვადები და გამოანგარიშების წესი,
აგრეთვე განახორციელოს სხვა ღონისძიებანი, რაც დაკავშირებულია აღნიშნუ-
ლი გადასახადის გადახდევინებასთან;

ზ) დაამტკიცოს მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებანი თვითდაბეგ-
რის შესახებ და აგრეთვე გაანაწილოს ეს თვითდაბეგრა; განახორციელოს ღო-
ნისძიებანი თვითდაბეგრისათვის და აწარმოოს ანგარიშგება;

თ) განკარგოს კოლექტიური მეურნეობების მიერ შექმნილი საყოფაცხოვ-
რებო და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა გაუმჯობესების ფონ-
დების სახსარი;

ი) თვალყური ადევნოს, კოლექტიურ მეურნეობათა დადგენილებების მი-
ხედვით, სასოფლო საბჭოს ბიუჯეტში გადასაცემ ანარიცხებისა და მიზნობრივი
შემოსავლის წყაროების გადადებას და განკარგოს ეს სახსარი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ) გადაიტან-გადმოიტანოს განსაკუთრებულ შემთხვევაში კრედიტები სასოფლო საბჭოს ბიუჯეტის ერთი პარაგრაფიდან მეორე პარაგრაფში და აგრეთვე, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით, ერთი კარიდან მეორე კარში;

ლ) გადასწყვიტოს საკითხები სასოფლო ბიუჯეტზე მყოფ ცალკეულ დაწესებულებათათვის კრედიტების მეორე ხარისხის განმკარგულებლის უფლების მიცემის შესახებ;

მ) აიღოს სესხი და დასდოს სხვა საკრედიტო გარიგება ისეთ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია მომქმედი კანონით ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა შესახებ.

---

222. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-15 მუხლის „თ[1]“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ნამსახურობის წელთა მიხედვით სოფლად მომუშავე აგრონომების პენსიით უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 23-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 37 №-ი, მუხ. 401) ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-15 მუხლის „თ[1]“ პუნქტი (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697 და 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 9) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

(15—სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ადგილობრივ სახსარზე დაკისრებულ ხარჯებს ეკუთვნის...).

„თ[1]) სამედიცინო, სავეტერინარო და საადგრონომიო დარგების მომუშავეთათვის, ნამსახურობის წელთა მიხედვით, პენსიების მისაცემად საჭირო ხარჯების 50%-ი“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ნოემბრის 12.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 314 №-ში 1930 წ. ნოემბრის 21-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

223. ბამბის ნათესების საქონლის მიშვებით წახდენისა და განადგურების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ბამბის ნათესის განზრახ საქონლის მიშვებით წახდენისა და განადგურების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისარია საბჭო ადგენენ:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ:

1. დააწესონ პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით ბამბის მთესველთა მიერ თავიანთი ბამბის ნათესის განზრახ განადგურებისა და საქონლის მიშვებით წახდენისათვის.

2. უფლება მისცენ სასოფლო საბჭოებს—იმ პირთ, ვინც განზრახ საქონლის მიშვებით წაახდენს ბამბის ნათესს როგორც სხვისას, ისე საკუთარს, უკეთუ მიყენებული ზიანი 15 მან. არ აღემატება, დაადგან ადმინისტრატიული წესით ჯარიმა არა უმეტეს წანახედით მიყენებული ზიანის რაოდენობისა ერთი-სამად, ან მიუსაჯონ იძულებითი მუშაობა 30 დღე-და-ღამემდე.

3. დაავალონ სასამართლო ორგანოებს—ბამბის ნათესის განზრახ განადგურებისა და საქონლის მიშვებით წახდენის თაობაზე აღძრული საქმეები განიხილონ ხოლმე რიგს გარეშე, არა უგვიანეს შვიდი დღისა საქმის მიღების დღიდან და სათანადო შემთხვევაში მოაწყონ ხოლმე საჩვენებელი პროცესები.

4. დაავალონ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს—იხმარონ, მათი პირადი პასუხისმგებლობით, გადამწყვეტი ღონისძიება ბამბის ნათესის განზრახ განადგურებისა და საქონლის მიშვებით წახდენის წინასწარი აღკვეთისათვის.

5. დაავალონ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს—ფართოდ აუწყონ სოფლის მოსახლეობას როგორც საკუთარი, ისე სხვისი ბამბის ნათესის განზრახ საქონლის მიშვებით წახდენისა და განადგურებისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის შესახებ.

6. შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ნოემბრის 12.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 310 №-ში 1930 წ. ნოემბრის 17-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

224. საბინაო კოოპერაციის სახლ-კოლექტივების აშენების შესახებ.

რადგანაც საბინაო კოოპერაციის ამოცანას შეადგენს ბინათმშენებლობის ახალი ფორმების პრაქტიკული განხორციელება, რაც მიმართულია მშრომელთა ყოფაცხოვრების რეორგანიზაციისათვის,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აღიარებულ იქნეს, რომ გარდამავალი ტიპის სახლი-კოლექტივები უნდა შენდებოდეს პირველ რიგში ამიერკავკასიის ცენტრების—ბაქოს, ტფილისისა და ერევანის—მუშათა რაიონებში.

2. რადგანაც სახლ-კოლექტივების აშენება მოითხოვს დიდი ფინანსების დაბანდებას, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა სახლ-კოლექტივების აშენება სწარმოებდეს ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის სახსარის ცენტრალიზაციის საფუძველზე (მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდები, მრეწველობის კოოდიტები, აღმასრულებელი კომიტეტებისა და საწარმოთა სახსარის გადაცემა). წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ბინათმშენებლობის კოოპერაციის საბჭოს შეიმუშაოს სახსართა ცენტრალიზაციის სისტემა და მისცეს სათანადო დირექტივები რესპუბლიკანურ ბინათმშენებლობის კოოპერაციის კავშირებს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალონ ადგილობრივ საბჭოებს განკუთვნონ ბინათმშენებლობის კოოპერაციისათვის დიდრონი საქალაქო ნაკვეთები, რომლებზედაც 1931 წელს შეიძლება გაშლილ იქნეს სახლ-კოლექტივების შენება, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქალაქების გარდაგეგმვის საშუშაოთა განხორციელების დროს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ნოემბრის 12.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 314 №-ში 1930 წ. ნოემბრის 21-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

225. საბჭოების არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. ოქტომბრის 3-ის საარჩევნო ინსტრუქციის შესაბამისად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქცია საბჭოების არჩევნების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

3. რაიმე გადახვევა ამა ინსტრუქციიდან, რაც გამოწვეულია ადგილობრივი საყოფაცხოვრებო პირობებით, შეიძლება მხოლოდ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

4. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წინად გამოცემული დადგენილება არჩევნების შესახებ და ამ დადგენილებების განმარტება ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ოქტომბრის 19.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 288 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 24-ს.

ინსტრუქცია

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა საბჭოების არჩევნების შესახებ.

I. საარჩევნო კომისიები.

1. ა/კსფსრ-ში საარჩევნო კომპანიისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან მოიწყობა ამიერკავკასიის ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომლის შედგენილობასაც პერსონალურად დამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

2. ამიერკავკასიის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაეკისრება:

ა) განახორციელოს საერთო მეთვალყურეობა ა/კსფსრ ტერიტორიაზე საარჩევნო კამპანიის მომზადებისა და ჩატარებისათვის;

ბ) გაუწიოს ხელმძღვანელობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური საარჩევნო კომისიების მუშაობას;

გ) წარადგინოს გასაუქმებლად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური საარჩევნო კომისიების ის დადგენილებანი, რომლებითაც დარღვეულია სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის საარჩევნო კანონმდებლობა;

დ) მისცეს ხელისუფლების ორგანოებისა და მოსახლეობისათვის სავალდებულო განმარტებანი ა/კსფსრ-ის საარჩევნო კანონმდებლობის შეფარდების თაობაზე.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფარგლებში საარჩევნო კომპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად—ამ რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტებთან, მათი პრეზიდიუმების დადგენილებით, მოეწყობიან ცენტრალური საარჩევნო კომისიები.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედგენილობა განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით.

4. საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების წარმოებისათვის საჭირო ღონისძიებათა ადგილებზე უშუალოდ განხორციელებისათვის ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და ავტონომიური ოლქების აღმასრულებელ კომიტეტებთან, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო და სასოფლო საბჭოებთან, ხოლო სარაიონო საბჭოების მქონე ქალაქებში—სარაიონო საბჭოებთანაც—მოეწყობიან საარჩევნო კომისიები.

შენიშვნა. ცალკეულ ქალაქებში შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებული დამხმარე საარჩევნო კომისიები დიდ ქარხანასთან, ფაბრიკასთან და საწარმოსთან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ.

5. მე-4 მუხლში აღნიშნული საარჩევნო კომისიების შედგენილობა შემდეგია:

ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის საარჩევნო კომისიის შედგენილობა: თავმჯდომარე, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის (ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის) ორი წარმომადგენელი და პროფესიონალური კავშირთა შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, ეროვნულ უმცირესობათა, მუშა-ქალთა საერთო-რესპუბლიკანური სადელეგატო კრებისა, წითელი არმიისა, წარმოებათა მუშებისა, საქალაქო საბჭოებისა და კოლმეურნეების თითო წარმომადგენელი.

ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის კომისიის თავმჯდომარეს დაამტკიცებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქალაქო საარჩევნო კომისიის შედგენილობა: თავმჯდომარე, სათანადო საქალაქო საბჭოს ორი წარმომადგენელი და პროფესიონალურ კავშირთა შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, ეროვნულ უმცირესობათა, წითელი არმიისა, წარმოებათა მუშებისა, კოლმეურნეებისა (იმ ქალაქებში, რომლებსაც სოფლის მოსახლეობა აკრავს) და მუშა-ქალთა საერთო-საქალაქო სადელეგატო კრების თითო წარმომადგენელი.

საქალაქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს: დამოუკიდებელ სადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილ ქალაქში—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი; სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარე ქალაქში—სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი. წევრებს დაამტკიცებს სათანადო საქალაქო საბჭო.

სარაიონო საარჩევნო კომისიის შედგენილობა: თავმჯდომარე, სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის (სარაიონო საბჭოს) ორი წარმომადგენელი და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ტერიტორიაზე მყოფ საქალაქო საბჭოებისა (როგორც რაიონის ქვემდებარისა, ისე არაქვემდებარისა), პროფესიონალურ კაშირთა შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, ეროვნულ უმცირესობათა, წითელი არმიისა, წარმოებათა მუშებისა, კოლმეურნეებისა და ქალთა და მუშა-ქალთა საერთო-სარაიონო სადელეგატო კრების თითო წარმომადგენელი.

სარაიონო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

სასოფლო საარჩევნო კომისიის შედგენილობა: თავმჯდომარე, სათანადო სასოფლო საბჭოს ორი წარმომადგენელი და პროფესიონალურ კავშირთა შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, ეროვნულ უმცირესობათა, წითელი არმიისა, წარმოებათა მუშებისა, კოლმეურნეებისა და გლეხ-ქალთა სადელეგატო კრების თითო წარმომადგენელი, აგრეთვე გლეხთა საერთიერთო დახმარების საზოგადოების ორი წარმომადგენელი.

სასოფლო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო წევრებს დაამტკიცებს სათანადო სასოფლო საბჭო.

II. ამომრჩეველთა წრისა და იმ პირთა წრის განსაზღვრა, ვისაც საარჩევნო უფლება ჩამოერთმეული აქვს.

6. როგორც ამომრჩეველთა, ისე საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიების შედგენისა და შემოწმების დროს საარჩევნო კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს სათანადო რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლითაც ცალკეულ პირთ და ცალკეული კატეგორიების მოქალაქეთ ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება, სახელდობრ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) იმ პირთ, რომელნიც იყენებდენ ან იყენებენ დაქირავებულ შრომას მოგების მიზნით;

ბ) იმ პირთ, რომელნიც ცხოვრობდენ ან ცხოვრობენ არაშრომის შემოსავლით და აგრეთვე ეწეოდენ ან ეწევიან ვაჭრობას;

გ) იმ პირთ, რომელნიც არჩევნების მომენტისათვის, თავიანთი კლასობრივი მდგომარეობის ან თავიანთი წარსული მოქმედების მიხედვით, ეკუთვნიან, საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციების თანახმად, საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ კატეგორიებს.

7. ცალკეული კატეგორიების მოქალაქეთა შორის საარჩევნო უფლება ჩამოერთმევათ:

ა) იმ მიწათმომქმედს, მესაქონლეს, შინამრეწველს და ხელოსანს, რომელიც იყენებს სასეზონო თუ მუდმივ დაქირავებულ შრომას ისეთი მოცულობით, რაც აფართოებს მის მეურნეობას იმდენად, რომ იგი სცილდება შრომითი მეურნეობის ფარგალს;

შენიშვნა. შრომითი მეურნეობის ძირითადი ნიშანი ასეთ შემთხვაში არის დაქირავებული შრომის დამხმარე ხასიათი და აუცილებელი მონაწილეობა სამუდამდღეო მუშაობაში მეურნეობის შინმყოფი შრომისუნარიანი უველა წევრისა;

ბ) იმ მიწათმომქმედს და მესაქონლეს, რომელსაც, სამიწათმოქმედო და სამესაქონლეო მეურნეობასთან ერთად, აქვს სარეწაო და სამრეწველო საწარმო (წისქვილი, ბუტლულის საფქველი და სხვ.) მექანიკური ძრავით ან ისეთი, სადაც გამოიყენება მუდმივი ან სასეზონო დაქირავებული შრომა;

გ) იმ პირს, რომელიც სისტემატიურად აქირავებს რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას მექანიკური ძრავით; დიდი თევზსაჭერი ნავეურჭელს მფლობელს, რომელიც იჯარით იძლევა ამ ნავეურჭელს; იმ პირს, რომელსაც დაუკაბალებია გარემო მოსახლეობა მუშა საქონლისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანისა და სხვ. სარგებლობისათვის გაცემის საშუალებით, ან მოსახლეობისათვის კრედიტის მიწოდებით (საქონლად თუ ფულად) საკაბალო პირობებზე (მევახშე);

დ) იმ პირს, რომელიც იჯარით იღებს მიწებს ისეთ პირობებზე, რაც საარაინონ საგადასახადო კომისიას კაბალურ პირობებად უცვნია;

ე) იმ პირს, რომელიც იჯარით იღებს სავაჭრო და სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით ბაღს, ვენახს და სხვ..

შენიშვნა. ბაღისა, ვენახისა და სხვ. იჯარით აღება ისეთ ფარგლებში და ისეთი პირობებით, როდესაც ამ იჯარის გამო მოიჯარეს არ შეიძლება დაედვას ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ინდივიდუალური წესით,—ეს იჯარა არ შეიძლება აგრეთე საფუძვლად დაედვას მოიჯარისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევას;

ვ) იმ პირს, რომელიც სისტემატიურად აქირავებს საწარმოს მოსათავსებლად ან საცხოვრებლად გაწყობილ ცალკეულ შენობას, უკეთუ მისი მეურნეობა, ამ შენობის გაქირავებით მიღებული შემოსავლის როოდების მიხედვით, მიეკუთვნება ისეთ მეურნეობათა კატეგორიას, რაც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ იბეგრება;

ზ) სამრეწველო ტიპის საწარმოს მფლობელს და მოიჯარეს, რომელიც ეწევა მოსახლეობის ექსპლოატაციას ამა თუ იმ სამუშაოს სახლში მიცემით ან ამ საწარმოს იჯარად ან ქვე-იჯარად გაცემით:

თ) კერძო მოვაჭრეს, ჩარჩს და შუამავალ კომერციაში;

ი) საფაბრიკო-საქარხნო ტიპის საწარმოს მფლობელსა და მოიჯარეს;

კ) თეთრი არმიების ყოფილ ოფიცერსა და მოხელეს და აგრეთვე კონტრრევოლუციონური ბანდების ხელმძღვანელს;

ლ) ყოფილი პოლიციისა, ჟანდარმთა განსაკუთრებული კორპუსისა და „ოხრანნოე ოტდელენიე"-ს ყველა მოსამსახურესა და აგენტს, აგრეთვე ყველა იმ პირს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელმძღვანელობას უწევდა პოლიციისა, ჟანდარმერიისა და დამსჯელი ორგანოების მოქმედებას როგორც სამეფო წყობილების დროს, ისე თეთრი კონტრრევოლიუციონური მთავრობების დროს, მაგალითად: ყოფილ მინისტრს, მის ამხანაგს, სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორს, გენერალ-გუბერნატორს, იმ ადგილის მთავარმართებელს, სადაც შემოღებული იყო დაცვის წესები, სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორს, ვიცე-გუბერნატორს და აგრეთვე მათთან განწესებულ განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელეს; შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეს, საპატიმროთა უწყების ყველა მოსამსახურეს, სამეფო გვარეულობის წევრს, გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლებს, სასამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის თავმჯდომარეს და წევრს და აგრეთვე სასამართლო პალატის პროკურორს და პროკურორის ამხანაგს; უაღრესი მნიშვნელობის საქმეების გამომძიებელს; სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრს; კონტრრევოლუციონურ მთავრობათა ტრიბუნალებზე მომქმედი საგამომძიებლო კომისიების თავმჯდომარეს და წევრს; საგუბერნიო საკრებულოს წევრს; საერობო, საგლეხო და სამაზრო უფროსს და იმ პირს, რომელსაც რევოლიუციამდე სადისციპლინო ბატალიონში ეპირა საკომანდო თანამდებობა;

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს უფლება აქვს განსაზღვროს ამ რესპუბლიკის ფარგლებში ჩამოგდებული მთავრობის (მენშევიკებისა, მუსსავატელებისა და დაშნაკების) შედგენილობიდან იმ პირთა წრე და ამ მთავრობასთან განწესებულ თანამდებობის პირნი, რომელთაც უნდა ჩამოერთვას საარჩევნო უფლება;

ამა მუხლში აღნიშნულ პირთათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა სათანადო რესპუბლიკის ფარგლებში იმის საფუძველია, რათა მათ ესევე უფლება ჩამოერთვეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ დანარჩენ რესპუბლიკებშიაც;

მ) ყველა რელიგიური კულტის ყოფილ და ახლანდელ მსახურს;

ნ) ადმინისტრატიული წესით გადასახლებულ პირს—გადასახლების ვადის განმავლობაში და იმ პირს, ვისაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვს სასამართლოს განაჩენით;

შენიშვნა. თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფი პირი საბჭოების არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. არ შეიძლება საარჩევნო უფლება ჩამოერთვას შემდეგ პირთ, უკეთუ ეს უფლება არ ჩამოერთმევთან მათ სხვა საფუძვლების მიხედვით:

ა) გლეხ-მიწათმომქმედს და მესაქონლეს, რომელიც თავის მეურნეობაში იყენებს ერთი მუდმივი მუშის დაქირავებულ შრომას განსაკუთრებული გარემოების დროს, როგორც არის: ავადმყოფობა, მობილიზაცია, მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწვევა, საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩევა, რაც მოითხოვს მეურნეობისაგან ჩამოშორებას, და სხვ.—მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მეურნეობა ასეთ მდგომარეობაშია;

ბ) მიწათმომქმედს, რომელიც იყენებს დროებითი მუშების დაქირავებულ შრომას იმ პირობით და ოდენობით, რაც, ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის კანონმდებლობის თანახმად (ა)კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 71 და მე-15 №-ი, მუხ. 163), არ იწვევს ინდივიდუალური წესით დაბეგრას;

გ) გლეხ-მიწათმომქმედს, რომელიც სასეზონო სამუშაოდ სხვაგან მიდის და ამ ხნის განმავლობაში იყენებს თავის მეურნეობაში არა უმეტეს, ვიდრე ერთი მუდმივი მუშის დაქირავებულ შრომას; აგრეთვე ასეთი გლეხის ოჯახის წევრს;

დ) ფაბრიკისა და ქარხნის მუშას და მისი ოჯახის წევრს, რომელთაც არ შეუწყვეტიათ კავშირი სოფლის მეურნეობასთან და რომელნიც იყენებენ თავიანთ მეურნეობაში არა უმეტეს, ვიდრე ერთი მუდმივი მუშის დაქირავებულ შრომას;

ე) გლეხ-მიწათმომქმედს, მესაქონლეს და მეთევზეს, რომელიც თავისი შრომის პროდუქტს ბაზარზე ასაღებს;

ვ) საცხოვრებელი შენობის მფლობელს, როდესაც ამ შენობის შემოსავალი არ აღემატება საშემოსავლო გადასახადით დაუბეგრავ მინიმუმს;

ზ) მექანიკური ძრავის არმქონე სხვადასხვაგვარი საწარმოს (კარაქის სადღვები და ზეთის სახდელი, ბურღულის საფქველი, მატყლის საჩეჩელი, ერთთვლიანი წისქვილი და სხვ.) მფლობელს, რომელიც დაქირავებულ შრომას არ იყენებს, უკეთუ მას დაკაბალებული არა ჰყავს გარემო მოსახლეობა სამუშაოს სახლში მიცემით ან უკეთუ ოჯარით არ იძლევა აღნიშნულ საწარმოს;

თ) შინამრეწველს და ხელოსანს, რომელიც ეწევა შრომითს მეურნეობას დაქირავებული ძალის გამოუყენებლად და აგრეთვე რომელიც იყენებს, წარმოების პირობების მიხედვით, ერთი მოზრდილი მუშის დაქირავებულ შრომას ან აწარმოებს შრომითს მეურნეობას ორი შეგირდის დახმარებით;

შენიშვნა. ამ პუნქტში აღნიშნულ შინამრეწველს და ხელოსანს საარჩევნო უფლება არ ჩამოერთმევა იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ იგი ჰყიდის ბაზარზე მარტოოდენ თავისი წარმოების ნაკეთობას;

ი) თავის დროზე თეთრ არმიებში მობილიზაციით გაწვეულ მუშას, მშრომელ გლეხს და კაზაკს, მოსამსახურეს, შინამრეწველს და ხელოსანს;

კ) თეთრი არმიის ან ყოფილ ოფიცერსა და მოხელეს, რომელიც შემდგომ ირიცხებოდა მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებულ დაცვაში, აგრეთვე იმას, ვინც ამ ჟამად მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნამდვილ სამხედრო სამსახურშია;

შენიშვნა. საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებულ დაცვაში აქტიურ მონაწილეობად იგულისხმება ყოველგვარი სამხედრო დავალების აღსრუ-

ლება სამოქალაქო ომის დროს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილებში და სამმართველოებში როგორც ფრონტზე, ისე ზურგში;

ლ) იმ პირს, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო სესხის მოგების შემოსავლით და პროცენტით და სახელმწიფო შემნახველ შრომითს სალაროში შეტანილი დანაზოგის შემოსავლით;

შენიშვნა. სსრკ-ის მოქალაქის მიერ უცხოეთიდან, არსებული წესი-სამებრ, ფულადი თანხის ან ფასეულობის მიღება (პენსიისა, სამკვიდროსი, ალიმენტისა, სადამზღვეო საზღაურისა და სხვ.), თავისთავად, საბაბი არ არის მისთვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევისა;

მ) შრომისა და ომის ინვალიდს, რომელიც განსაკუთრებული მიზეზების გამო აწარმოებს წვრილ ვაჭრობას და რომელიც იბეგრება სარეწაო გადასახადით თანახმად მტკიცე განაკვეთებით დასაბეგრავ საწარმოთა და სარეწაოთა განრიგების მე-5 მუხლისა (კერძო საწარმოთა და სარეწაოთა სარეწაო გადასახახადის დებულების 1-ლი დანართი), აგრეთვე იმ პირს, რომელიც დროებით აწარმოებს ასეთსავე წვრილ ვაჭრობას უმუშევრობის ან დროებითი ინვალიდობის გამო;

ნ) იმ პირს, რომელიც თავისი შრომისათვის იღებს საპროცენტო გასამრჯელოს სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციისაგან, აგრეთვე სახელმწიფო თუ კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედი საკავშირო საზოგადოებისაგან;

ო) იმ პირს, რომელიც რელიგიური საზოგადოების დაქირავებით თუ არჩევით საადმინისტრაციო-სამეურნეო და ტეხნიკურ მომსახურეობას უწევს სარწმუნეობრივი წესის აღსრულებას და იმ შენობას, სადაც ამ წესს ასრულებენ, სახარეობრ: მგალობელს, ორგანისტს, მცველს, დამლაგებელს, მეზარეს და სხვ., აგრეთვე სამრევლო საბჭოს წევრს;

პ) თავისუფალი პროფესიის პირს, რომელიც საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას ეწევა;

ქ) საარჩევნო უფლება-ჩამორთმეული პირის ოჯახის წევრს საარჩევნო უფლება არ ჩამოერთმევა, უკეთუ იგი მატერიალურად დამოკიდებული არ არის აღნიშნული პირისაგან და თავისი ცხოვრებისათვის ეწევა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

საარჩევნო უფლება არ ჩამოერთმევა აგრეთვე საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა შვილებს, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანობას 1925 და შემდგომ წლებში და რომელნიც სრულწლოვანობამდე მშობლების რჩენაზე იყენენ და ამ ჟამად ეწევიან დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, თუნდაც ისინი მშობლებთან ცხოვრობდენ.

III. იმ პირთა სიების შედგენა, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ.

9. საბჭოთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში საარჩევნო უფლება-ჩაორთმეულ პირთა სიებს შეადგენენ მარტოოდენ საქალაქო და სასოფ-

ლო საარჩევნო კომისიები და დაამტკიცებენ: სოფლად—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, ხოლო ქალაქად—საქალაქო და სარაიონო საბჭოები—კუთვნილებისამებრ. საარჩევნო კამპანიებს შორის მიმდინარე პერიოდში ამ სიებში შეიტანებიან ის პირნი, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამოერთმევათ სასამართლოს მიერ და ის პირნი, რომელნიც გადასახლებულ იქნებიან ადმინისტრატიული წესით გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების მიერ. სოფლად აღნიშნულ პირთა სიებში შეტანა დაეკისრება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო ქალაქად—საქალაქო და სარაიონო საბჭოებს—კუთვნილებისამებრ.

10. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო და სარაიონო საბჭოების მიერ დამტკიცებული საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ მოქალაქეთა სიები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობისათვის ბეჭდვითს ორგანოებში ან გამოიკრას სათანადო ადგილას.

11. საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციების თანახმად, სსრკ-ის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელ მუშებს და იმ უცხოელ გლეხებს, რომელნიც სხვის შრომას არ იყენებენ, აქვთ საარჩევნო უფლება. საარჩევნო კომისიებს შეუძლიანთ მიანიშნონ საარჩევნო უფლება აგრეთვე იმ უცხოელ მოქალაქეთ მოსამსახურეთა კატეგორიიდან, რომელნიც უწყებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, უკეთუ არსებობს საკმარისი საბუთი სრული მათი ლოიალობისა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

12. უწყებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელნი, რომელნიც ეკუთვნიან არამშრომელთა კატეგორიებს და რომელთაც, საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციებისა და ამა ინსტრუქციის მიხედვით, საარჩევნო უფლება არა აქვთ, საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულთა სიებში არ შეიტანებიან.

13. საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიები შედგენილ უნდა იქნეს დოკუმენტალური ცნობების მიხედვით.

14. საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა დამტკიცებული სიებიდან არასისწორით შეტანილ მოქალაქეთა ამოშლას აწარმოებენ როგორც ის ორგანოები, რომლებიც სიებს ამტკიცებენ (სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, საქალაქო და სარაიონო საბჭო—კუთვნილებისამებრ), ისე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საარჩევნო კომისიები და ცენტრალური საარჩევნო კომისიები.

15. საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულთა სიებში შეტანილ პირთ შეუძლიანთ განასაჩივრონ ეს დადგენილებები ამა ინსტრუქციის 16—20 მუხლებში აღნიშნული წესისამებრ.

16. საჩივარი შეიტანება იმ საარჩევნო კომისიაში, რომელმაც სია შეადგინა.

17. საარჩევნო კომისია, მიიღებს-რა საჩივარს, მოვალეა, სამი დღის ვადაზე დღიდან საჩივრის მიღებისა, გაუგზავნოს იგი თავისი დასკვნითურთ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, საქალაქო ან სარაიონო საბჭოს—კუთვნილებისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო საარჩევნო კომისია მასთან შეტანილ საჩივარს უგზანის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს სარაიონო საარჩევნო კომისიის მეშვეობით.

18. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საარჩევნო კომისიაში ან საქალაქო საარჩევნო კომისიაში შეტანილი საჩივრები განიხილება ამ კომისიების მიერ სამი დღის ვადაზე და მათი დასკვნითურთ წარიდგინება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში ან საქალაქო საბჭოში—კუთვნილებისამებრ. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს საჩივარს სამი დღის ვადაზე და თავის გადაწყვეტილებას აცნობებს მოჩივარს სათანადო საარჩევნო კომისიის მეშვეობით.

19. მოქალაქეთა საჩივრები—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოების მიერ საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა სიებში მათი არასისწორით შეტანის თაობაზე—წარედგინება: სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ქვემდებარე საქალაქო საბჭოს დადგენილებებზე—სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს; სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილ საქალაქო საბჭოს დადგენილებებზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას—კუთვნილებისამებრ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიები განიხილავენ შვიდი დღის ვადაზე მათთვის წარდგენილ საჩივრებს და თავიანთ გადაწყვეტილებას აცნობებენ მოჩივართ.

20. საარჩევნო საქმეების გამო მთავრობის დაწესებულებებში და თანამდებობის პირებისათვის წარდგენილი მიმართვები და ამ დაწესებულებებისა და პირების მიერ გასაცემი დოკუმენტები და ცნობები საარჩევნო საქმეების გამო განთავისუფლდება გამოსაღებისაგან.

21. იმ მოქალაქეს, რომელმაც ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებში საჩივარი შეიტანა მისთვის საარჩევნო უფლების არასისწორით ჩამორთმევის თაობაზე, მისი საჩივრის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, არ შეიძლება შეეფარდოს სხვა რაიმე შეზღუდვა, გარდა საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვისა.

22. ის პირნი, რომელნიც დაბრკოლებას უწევენ ამომრჩეველთ მათი საარჩევნო უფლების განხორციელების საქმეში, მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით.

IV. საარჩევნო უფლების აღდგენის წესი.

23. იმ პირთ. რომელთაც ჩამოერთვათ საარჩევნო უფლება, როგორც ექსპლოატატორთა კლასისათვის მიკუთვნებულთ (ემამაულეთ, ბურჟუაზიას, რელიგიური კულტის მსახურთ), აგრეთვე პოლიციისა, ჟანდარმერიისა და საპატიმროთა უწყების ყოფილ დაბალ ტეხნიკურ მოსამსახურეთ შეიძლება აღედგინოთ საარჩევნო უფლება, უკეთუ ისინი, არა ნაკლებ, ვიდრე ხუთი წლის განმავლობაში, ეწევიან ნაყოფიერ და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და მათ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამტკიცეს თავიანთი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ამ პირთა უფლება აღიდგინება სარაიონო ან საქალაქო (დამოუკიდებელ საადმინისტრაციო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის) საარჩევნო კომისიისა, ან ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის საარჩევნო კომისიისა, ან და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა, საქალაქო საბჭოს ან სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა. ამა მუხლში იღნიშნულ იმ პირთა საარჩევნო უფლება, რომელნიც პროფესიონალურ კავშირთა წევრობად ირიცხებიან, უკეთუ აღძრულ იქნება სათანადო შუამდგომლობა, შეიძლება აღდგენილ იქნეს ზემოაღნიშნული ორგანოების მიერ ხუთი წლის შრომის სტაჟის გარეშეც.

24. იმ პირთ, რომელთაც, საბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციების თანახმად, ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება და რომელნიც ჩამოთვლილ არიან ამა ინსტრუქციის მე-7 მუხლის „ო“ პუნქტში,—პოლიციისა, ეანდარმერიისა და სპეციმიროთა უწყების დაბალ ტეხნიკურ მოსამსახურეთა (მუხ. 23) გამოკლებით,—შეიძლება ცალკეულ შემთხვევაში აღიდგინოთ საარჩევნო უფლება ა/ესფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების განსაკუთრებული დადგენილებით, უკეთუ ეს პირები ამ ჟამად ნაყოფიერ და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას ეწევიან და მათ დამტკიცეს თავიანთი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

25. ადმინისტრატიული წესით გადასახლებულთა საარჩევნო უფლება, აგრეთვე იმ პირთა საარჩევნო უფლება, რომელთა შესახებ გამოტანილია სასამართლო განაჩენი და ამ განაჩენით მათ საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ (მე-7 მუხლის „ნ“ პუნ.),—აღიდგინება იმ მომენტიდან, რაც მოისპობა მათ მიმართ მიღებული ადმინისტრატიული ან სასამართლო რეპრესიის ღონისძიების მოქმედება, ხელისუფლების სათანადო ორგანოს სპეციალური დადგენილების გარეშე, უკეთუ მათ ეს უფლება ჩამორთმეული არა აქვთ სხვა საფუძველთა მიხედვით.

26. ზემდგომი საბჭოისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ უფლება-აღდგენილ პირთ ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოები საარჩევნო უფლებას ვერ ჩამოართმევენ იმავე საფუძვლების მიხედვით.

V. საარჩევნო კრება.

27. საბჭოების წევრთა არჩევა მოხდება საარჩევნო კრებაზე.

28. საარჩევნო კრების მოიწვევს საარჩევნო კომისია ან მისი რწმუნებული. კრების მოწვევისა და არჩევნების დღე და ადგილი უნდა ეცნობოს მოსახლეობას სუთი დღით ადრე მაინც.

29. ქალაქში, მუშათა დასახლებულობაში და ქალქის ტიპის დასხლებულ ადგილას, აგრეთვე საბჭოთა დიდ მეურნეობებში საარჩევნო კრებები მოიწყობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო ერთეულებში (საწარმო, დაწესებულება), პროფესიონალურ კავშირებში და საბჭოთა დიდ მეურნეობებში.

დიდ სამრეწველო საწარმოში არჩევნები შეიძლება მოხდეს ცალკეულ საამქროებში სათანადო საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა არა-დიდ მეურნეობების მუშები მონაწილეობას მიიღებენ უახლოესი სასოფლო საბჭოს არჩევაში.

სოფლად დიდი სოფელი საბჭოს არჩევნებისათვის შეიძლება დაიყოს საარჩევნო უბნებად.

კოლმეურნენი, როგორც საერთო წესი, არჩევნებში მონაწილეობას სოფლის დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად იღებენ.

ამმარჩეველი-მეხუტორენი და მეოტრუბენი არჩევნებისათვის შეუერთდებიან უახლოეს სოფელს, რომელიც შედის ასარჩევი სასოფლო საბჭოს რაიონში.

ის მოქალაქენი, რომელნიც საწარმოში არ მუშაობენ და რომელნიც დარაზმულ არ არიან პროფესიონალურ კავშირებად, მაგალითად: შინამრეწველნი, დიასახლისნი, მეეტლენი და სხვ., არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ ან დანარჩენ ამმრჩეველებთან ერთად საწარმოო და პროფესიონალურ კრებებზე ან დატერტორიალურ ერთეულებში (რაიონი, უბანი და სხვ.).

30. საარჩევნო კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო არა ნაკლებ იმ პირთა 40 პროცენტისა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ უწყებული საარჩევნო უბნის არჩევნებში.

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ დაიწესონ უფრო დიდი მინიმუმი,

31. საარჩევნო კრებაზე მიიშვებიან მხოლოდ ის პირნი, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვთ. საარჩევნო კრების წარმართვის წესი განისიზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

32. არჩევნებში ხმის მიცემა სწარმოებს ან სიებით, ან ცალკეული კანდიდატურების მიხედვით, როგორც თვით საარჩევნო კრება გადასწყვეტს.

შენიშვნა. 1. საარჩევნო კომისიას და მის რწმუნებულს უფლება არა აქვს თითონ დაასახელოს ცალკეული კანდიდატები ან წარუდგინოს ამმრჩეველთ კანდიდატთა სიები.

შენიშვნა. 2. კანდიდატთა სია ან ცალკეული კანდიდატურა შეუძლიან წარადგინოს საზოგადოებრივ, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციას და ცალკეულ მოქალაქეს; ეს სია შეიძლება წარდგენილ იქნეს თვით საარჩევნო კრებაზე ან გამოქვეყნდეს საარჩევნო კრებამდე ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით ან გამოკიდვით. სიებით ხმის მიცემა არა სპობს სიაში მოთავსებული ცალკეული კანდიდატების ჩამოცილების შესაძლებლობას.

33. არჩევნები სწარმოებს ხმის ახდილად მიცემით.

34. საბჭოს არჩეულ წევრად ჩაითვლება ის პირი, ვინც მიიღო ხმის მიცემის დროს საარჩევნო კრებაზე დამსწრეთა ხმის უმეტესობა.

35. ყოველი განცხადება და საჩივარი არჩევნების წარმოების შესახებ, წერილობითი თუ სიტყვიერი, წარედგინება სათანადო საარჩევნო კომისიას შვიდი დღის განმავლობაში არჩევნების დამთავრების მომენტიდან; კომისია მოვალეა ეს განცხადება თუ საჩივარი, თავისი განმარტებითურთ, სამი დღის ვადაზე, გაუგზავნოს ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

ზემდგომი საარჩევნო კომისია მოვალეა განიხილოს საჩივარი და განცხადება ერთი კვირის ვადაზე მისი მიღების დღიდან.

36. მუშაობის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისიები ყველა საარჩევნო მასალას ჩაბარებენ სათანადო საბჭოს ან აღმასრულებელ კომიტეტს.

37. არჩევნების გაუქმება, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საარჩევნო ინსტრუქციებისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საარჩევნო ინსტრუქციების დარღვევის გამო, მოხდება: სრულად—საბჭოს წევრთა მთელი შედგენილობის მიმართ—ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტისა ან საბჭოს დადგენილებით, ან ნაწილობრივ—საბჭოს ცალკეულ წევრთა მიმართ—ცალკეულ საარჩევნო უბნებში (საწარმოო ერთეულებში, პროფესიონალურ კავშირებში და სხვ.)—სასოფლო ან საქალაქო საბჭოს დადგენილებით.

უკეთუ არჩევნები გაუქმებულ იქნა, ახალი არჩევნები მოხდება ამა ინსტრუქციით დადგენილ წესისამებრ.

38. ახალი არჩევნების წარმოებისათვის დაინიშნება სათანადო საარჩევნო კომისიის ახალი შედგენილობა.

39. არჩევნების გაუქმების საბაბად ჩაითვლება სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კონსტიტუციების დარღვევა და აგრეთვე სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციისა, ამა ინსტრუქციისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების ინსტრუქციების დარღვევა; ამასთანავე, არჩევნების გაუქმება გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის ან ადგილობრივ პრესაში პუბლიკაციით, ან ამორჩეველთა კრებაზე განცხადებით.

VI. საბჭოთა ყრილობის მოწვევა.

40. საბჭოთა ყრილობას მოიწვევს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ.

41. უწყებული ყრილობის არჩევნების სისწორის შესამოწმებლად საბჭოთა ყრილობა აირჩევს სამანდატო კომისიას.

სამანდატო კომისიის დადგენილებებს დაამტკიცებს საბჭოთა ყრილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

226. ა/კსფსრ საბჭოთა არჩევნებისათვის მოწყობილ საარჩევნო კომისიებში ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. ოქტომბრის 19-ის ინსტრუქციის მე-5 მუხლის იმ ნაწილის შესაცვლელად, რაც ეხება ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლობას საარჩევნო კომისიებში,— დადგენილ იქნეს შემდეგი:

ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და აგრეთვე ავტონომიური ოლქების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საარჩევნო კომისიების შედგენილობაში შედის ერთი წარმომადგენელი ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტისა.

საქალაქო და აგრეთვე სარაიონო საარჩევნო კომისიების შედგენილობაში შედის ერთი წარმომადგენელი ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გამაუმჯობესებელი კომიტეტისა, ხოლო იქ, სადაც ასეთი კომიტეტი არ არსებობს,—ქალთა აქტივისა (სადელეგატო კრების შედგენილობიდან, ან კოლმეურნე-ქალთაგან, მუშა-ქალთაგან, მოჯამაგირე-ქალთაგან და სხვ.).

სასოფლო საარჩევნო კომისიის შედგენილობაში შედის ერთი წარმომადგენელი ქალთა ადგილობრივი აქტივისა (სადელეგატო კრების შედგენილობიდან ან მუშა-ქალთაგან, კოლმეურნე-ქალთაგან, მოჯამაგირე-ქალთაგან და სხვ.).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

1930 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 295 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 31-ს.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

№ 299.

227. „აკსფსრ-ში ბამბის მოკრეფისა და დამზადების კამპანიის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

რადგანაც ა/კსფსრ-ში ბამბის მთესველთათვის განწესებული საქონელი უკვე მოდის, ამის გამო, საქონლის ბრუნვის დასაჩქარებლად, ა/კსფსრ სახალხო კომისარია საბჭო, „ა/კსფსრ ში ბამბის მოკრეფისა და დამზადების კამპანიის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 30-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 296 №-ი, 1930 წ. ნოემბრის 1-სა) შეცვლის მიზნით ადგენს: აღნიშნული დადგენილების მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 6 რადგანაც სამომხმარებლო კოოპერაციის ქვედა ორგანიზაციების მიერ ბამბის მთესველთა მომარაგება სამოეწველო საქონლით შეფერხებით მიმდინარეობს, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა საბამბე რაიონებში კოოპერატიული სისტემის ქსელმა მის ხელთ ქონებული ყოველგვარი საქონელი პირველ რიგში აძლიოს ბამბის მთესველთ ბამბის მოკრეფის კამპანიის დროის განმავლობაში და საქონლის მიყიდვა დანარჩენი მოსახლეობისათვის აწარმოოს ბამბის მთესველთა საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ.

ამასთან ერთად დაეკისროს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს პასუხისმგებლობა ქვედა სასოფლო ქსელში საქონლის თავის დროზე შეზიდვისათვის სოფლის მოთხოვნილების შესაფერი ასორტიმენტის სახით.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ამისდა შესაბამისად, მისცეს ზედმიწევნითი დირექტივები რესპუბლიკურ ორგანოებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ოქტომბრის 9.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 306 №-ში 1930 წ. ოქტომბრის 13-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 300.

228. იმ საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობების, აგრეთვე იმ სასოფლო საბჭოების დასაპრემირებლად ფონდის შექმნის შესახებ, რომელთაც თავი იჩინეს საბამბე ავრალის ჩატარების დროს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა სიბჭო ადგენს:

1. იმ საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიურ მეურნეობებისა და ღარიბ და საშუალო ინდივიდუალური მეურნეობების, აგრეთვე იმ სასოფლო საბჭოების წასახალისებლად და დასაპრემირებლად, რომელთაც თავი იჩინეს საბამბე ავრალის ჩატარების დროს, მოეწყოს სპეციალური პრემიალური ფონდი 50.000 მანეთის რაოდენობით.

2. აღნიშნული ფონდი მოეწყობა მიზნობრივი ანარიცხების გადადებით მთავარი სამებამბეო კომიტეტის ამერკავკასიის განყოფილების სახსარიდან 35.000 მან. რაოდენობით და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირთა ამერკავკასიის კავშირის სახსარიდან 15.000 მან. რაოდენობით (აქედან „პამბუგბირლიგი“ — 12.000 მან., სომხეთის მემინდვრეობის კავშირი — 2.100 მან. და საქართველოს სპეციალური ტეხნიკური კულტურების კავშირი — 900 მან.).

3. დაპრემირებულ უნდა იქნენ:

ა) ისეთი კოლექტიური და ღარიბი და საშუალო ინდივიდუალური მეურნეობანი, რომელთაც შეასრულეს საკონტრაქტაციო ვალდებულებანი არა ნაკლებ ვიდრე 90%-ით და ჩაბარეს მთლად მოკრეფილი ბამბა არა უგვიანეს 1930 წ. დეკემბრის 1-სა;

ბ) ისეთი საბჭოთა მეურნეობანი, რომელთაც შეასრულეს ბამბის დათესვისა და მოკრეფის საგეგმო დავალება არა ნაკლებ, ვიდრე 90%-ით და ჩაბარეს მთლად მოკრეფილი ბამბა არა უგვიანეს 1930 წ. დეკემბრის 1-სა;

გ) ისეთი სასოფლო საბჭონი, რომელთაც მოაწყეს მთლიანი გამოსვლა სოფლისა ავრალზე და ხელი შეუწყეს ბამბის სავსებით მოკრეფას 1930 წ. ნოემბრის 25-თვის;

დ) ისეთი ბრიგადები, რომელთაც სავსებით და თავის დროზე შეასრულეს მათთვის ავრალის საქმეში დაკისრებული დავალებანი რესპუბლიკანური და რაიონული შტაბებისა;

ე) ისეთი კოლექტიური მეურნეობანი, რომელთაც მოაწყეს ქალთა ბრიგადები, ხოლო ამ ბრიგადებმა შეასრულეს მათთვის დაკისრებული დავალებანი ბამბის მოკრეფის საქმეში.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკეულ რესპუბლიკებში პრემიალური ფონდი განაწილდება და გამოიყენება შემდეგნაირად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

	რესპუბლიკანური შტაბების მიერ	რაიონული შტაბების მიერ	ს ულ
აზერბაიჯანის სსრ-ში	8.000 მან.	32.000 მან.	40.000 მან.
სომხეთის სსრ-ში	1.400 „	5.600 „	7.000 „
საქართველოს სსრ-ში	600 „	2.400 „	3.000 „
ს ულ ა/კსფსრ-ში	10.000 მან.	40.000 მან.	50.000 მან.

5. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მისცენ საბამბე ავრალის რესპუბლიკანურ შტაბებს:

1) სამი დღის ვადაზე მოაწყონ განსაკუთრებული დამაპრემირებელი კომისიები:

ცენტრალური—რესპუბლიკანურ შტაბებთან—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, სამებამბეო კოოპერაციის კავშირისა და რესპუბლიკის კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრის წარმომადგენელთა შედგენილობით;

რაიონული—რაიონულ შტაბებთან—სამებამბეო კოოპერაციის სარაიონო კავშირისა, კოლექტიურ მეურნეობათა სარაიონო კავშირისა და ბამბა-საწშენდი ქარხნის წარმომადგენელთა შედგენილობით;

2) იმავე სამი დღის ვადაზე:

ა) განსაზღვრონ პრემიების რაოდენობა თვითეული საბამბე რაიონისათვის, საამისოდ საჭირო სახსართა გამოყოფით, და მიაწოდონ ადგილებს ინსტრუქცია დაპრემირების წესისა და ნორმების შესახებ;

ბ) გამოჰყონ რაიონული შტაბების განკარგულებაში სახსარი პრემიებისათვის—75%-ის რაოდენობით სასოფელ-სამეურნეო მანქანებისა და სამრეწველო საქონლის სახით და 25-%-ის რაოდენობით—რადიო-დანადგამებისა და ბიბლიოთეკების სახით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ნოემბრის 14.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 308 №-ში 1930 წ. ნოემბრის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 301.

229. სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (აკსფსრ-ში) არსებული ამიერკავკასიის რადიო-საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული ამიერკავკასიის რადიო-საბჭოს შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს 1928 წ. დეკემბრის 22-ის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული ცენტრალური რადიო-საბჭოს შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ნოემბრის 13.
ტფილისი-სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებული ამიერკავკასიის რადიო-საბჭოს შესახებ.

1. სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) არსებულ ამიერკავკასიის რადიო-საბჭოს დაეკისრება ხელმძღვანელობის გაწევა ა/კსფსრ ტერიტორიაზე მთელი რადიო-მაუწყებლობის საქმისათვის და რადიო-მაუწყებლობის სამუშაოთა შეთანხმება დაინტერესებულ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.

2. ამიერკავკასიის რადიო-საბჭოს გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) შეიმუშაოს რადიო-მაუწყებლობის საერთო-საამიერკავკასიო გეგმა რადიო-მაუწყებლობის იმ გეგმების პროექტების მიხედვით, რასაც წარადგენენ რესპუბლიკანური და ადგილობრივი რადიო-საბჭოები და აგრეთვე საპროფკავშირო ორგანიზაციები; დაუკავშიროს ეს გეგმა რადიოფიკაციის საერთო-საკავშირო გეგმას; დამტკიცოს რადიო-მაუწყებლობის საერთო-საამიერკავკასიო გეგმა და თვალყური ადევნოს ამ გეგმის შესრულებას; შეუთანხმოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ ამ რესპუბლიკებში რადიოფიკაციის ორგანიზაციის გეგმები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განიხილოს რადიოფიკაციის საამერიკავკასიო და რესპუბლიკანური გეგმების პროექტები და მისცეს დასკვნა ამ პროექტების შესახებ;

გ) განსაზღვროს თვითეული რადიო-მაუწყებელი სადგურის ჰომსახურეობის რაიონი;

დ) განიხილოს რადიო-მაუწყებლობის ხარჯების დასაფარავად გადადებული ამერიკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს სპეციალური სახსარის გამოყენების პროექტი;

ე) შეიმუშაოს პირობები ამერიკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს გამგებლობაში ჭონებული რადიო-მაუწყებელი სადგურების საპროფკავშირო და სხვა ორგანიზაციებისათვის სახმარებლად დათმობისა—მათი სახელით და პასუხისმგებლობით რადიო-ჟურნალებისა, მოხსენებებისა კონცერტებისა და სხვ. გადასაცემად;

ვ) განიხილოს წინასწარ ა/კსფსრ მთავრობისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი კანონპროექტები, რაც რადიო-მაუწყებლობისა და მისი ორგანიზაციის საკითხებს ეხება;

ზ) განიხილოს რადიო-მაუწყებლობის შესახები სხვა საკითხები, რასაც რადიო-საბჭოს გადასცემს განსახილველად ამერიკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველო.

3. ამერიკავკასიის რადიო-საბჭოს დადგენილებები ძალაში შედის სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) დამტკიცების შემდეგ და შეიძლება შეჩერებულ ან გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების შესახებ არსებული საერთო დებულების სათანადო მუხლების წესისამებრ.

4. ამერიკავკასიის რადიო-საბჭოს რაოდენობითს და პერსონალურ შედგენილობას დამამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) წარდგენისამებრ, იმ პირობით, რომ რადიო-საბჭოს შედგენილობაში აუცილებლად იყვნენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების წარმომადგენლნი; ამასთანავე, რადიო-საბჭოს თავმჯდომარედ არის სსრკ-ის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული ან მისი თანაშემწე, რომელიც განაგებს რადიო-კავშირგაბმულობას და რადიო-მაუწყებლობას.

5. ამერიკავკასიის რადიო-საბჭოს მიერ განსახილველი საკითხების ყოველმხრივი გაშუქების მიზნით მის კრებებზე შეიძლება მიწვეულ იქნენ დაინტერესებული ორგანოების წარმომადგენელნი სათათბირო ხმის უფლებით.

6. ამიერკავკასიის რადიო-საბჭო რადიო-მაუწყებლობის საქმეს რესპუბლიკების ტერიტორიაზე ანხორციელებს სათანადო რესპუბლიკანური და ადგილობრივი რადიო-საბჭოების მეშვეობით.

7. რესპუბლიკანური რადიო-საბჭოები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მოიწყობიან ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოებთან.

8. რესპუბლიკანურ რადიო-საბჭოებს შეუძლიანთ, ა/კსფსრ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) შეთანხმებით, მოაწყონ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოებთან ადგილობრივი რადიო-საბჭოები.

9. რესპუბლიკანური და ადგილობრივი რადიო-საბჭოს დებულებას დაამტკიცებს ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით.

10. რესპუბლიკანური რადიო-საბჭო ხელმძღვანელობას უწევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რადიოს მეშვეობით პოლიტიკურ-განმანათლებელი, სამხატვრო და სასწავლო მუშაობის ორგანიზაციას იმ სახსართა ფარგლებში, რაც საამისოდ გადადგება ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით და სხვა წყაროებიდან; ამასთანავე, ეს ხელმძღვანელობა უნდა შეესაბამებოდეს „სსრკ-ის რადიო-ფიკაციის სფეროში მორიგი ამოცანების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილების მე-10 მუხლს (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 63 №-ი, მუხ. 583).

11. ამიერკავკასიის რადიო-საბჭო მოისმენს ხოლმე რესპუბლიკანური რადიო-საბჭოების ანგარიშებს მათი მოქმედების თაობაზე და კერძოდ—მათ მიერ რადიოს მეშვეობით პოლიტიკურ-განმანათლებელი, სამხატვრო და სასწავლო მუშაობისათვის გაწეული ხელმძღვანელობის შესახებ. ამ მუშაობის საკითხების გამო ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანურ რადიო-საბჭოებს შორის აღძრული შეუთანხმებლობა გადასაწყვეტად გადაეცემა ა/კსფსრ სახალხო კომისართა სებჭოს.

12 ამიერკავკასიის რადიო-საბჭოს სპეციალური ტეხნიკური აპარატი არა ჰყავს და იგი გამოიყენებს ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს სათანადო აპარატს.

№ 302.

230. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის დებულების 1, 2 და 3 მუხლისა, მე-5 მუხლის „ბ“, „დ“ და „ე“ პუნქტებისა, მე-6 მუხლის „თ“ პუნქტისა და 11, 12, 13, 15, 18, 19 და 20 მუხლების შეცვლისა და მე-14 მუხლის ამოშლის შესახებ.

„რესპუბლიკანური საზომ-საწონთა პალატების მოკავშირე რესპუბლიკების სასტანდარტიზაციო კომიტეტების გამგებლობაში გადაცემის შესახებ“ 1930 წ. აგვისტოს 22-ის თარიღით გამოცემულ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 45 №-ი, მუხ. 466) და „საგადასახადო რეფორმის შესახებ“ 1930 წ. სექტემბრის 2-ის თარიღით გამოცემულ (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 46 №-ი, მუხ. 476) სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებთან დაკავშირებით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის და მისი ადგილობრივი ორგანოების (შემმოწმებელი პალატების) დებულების 1, 2 და 3 მუხლები, მე-5 მუხლის „ბ“, „დ“ და „ე“ პუნქტები, მე-6 მუხლის „თ“ პუნქტი და 11, 12, 13, 15, 18, 19 და 20 მუხლები (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-8 №-ი, მუხ. 99) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ა. მუხ. 1. სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. ივნისის 6-ს დამტკიცებული საზომ-საწონთა დებულების თანახმად („სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტისა, სახ. კ-თა საბჭოს და შრ. და თავდაცვის საბჭოს ვესტნიკ“-ის 1924 წ. მე-6 №-ი, მუხ. 202), არსდება ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატა, რომელიც არის ცენტრალური სამეცნიერო-სატეხნიკო და გამოყენებითი მეტროლოგიური დაწესებულება ა/კსფსრ-ში. პალატას ეკუთვნის გამონაკლისი უფლება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის მიერ დაწესებული ა/კსფსრ მრეწველობის სტანდარტების შენახვისა.

ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატა იმყოფება ქალაქ ტფილისში.

მუხ. 2. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატა იმყოფება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტის გამგებლობაში და თავისი მოქმედებისათვის იგი იხელმძღვანელებს: საორგანიზაციო და საადმინისტრატიო-სამეურნეო სფეროში—ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტის განკარგულებებს, ხოლო სამეცნიერო-სატეხნიკო და მეტროლოგიურ სფეროში—სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტთან მყოფ მთავარ საზომ-საწონთა პალატის საერთო დირექტივებს.

მუხ. 3. თავისი მოქმედების ანგარიშებს ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატა წარუდგენს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტს და სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტთან მყოფ მთავარ საზომ-საწონთა პალატას.

მუხ. 5. (ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის ამოცანებს საზომ-საწონთა შემოწმებისა და მათი ხმარებისათვის მეთვალყურეობის გაწევის სფეროში შეადგენს):.....

პუნ. ბ) მოაწყოს, ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით, ა/კსფსრ ტერიტორიაზე შემოწმების საქმე შემმოწმებელ დაწესებულებათა დაარსებით ადგილებზე და მათი მოქმედების რაიონების განსაზღვრით;

პუნ. დ) შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტს პროექტები დადგენილებებისა იმ საბჭომი ხელსაწყოთა საველდებულო შემოწმების შესახებ, რომელთა შემოწმება და დადაღვა, არსებულ კანონდებულებათა თანახმად, წინად საველდებულო არ იყო ა/კსფსრ ტერიტორიაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუნ. ე) შეიმუშაოს და გამოსცეს, ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტის დამტკიცებით, საზომ-საწონთა დებულების ფარგლებში, ადგილობრივი პირობებით გამოწვეული ინსტრუქციები და წესები.

მუხ. 6. (ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატას უფლება აქვს):. . . .

პუნ. თ) მოიწვიოს ხოლმე, კანონით დადგენილი წესისამებრ, ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტის დასტურით, პერიოდული ყრილობები თეორეტიული და გამოყენებითი მეტროლოგიის საკითხების განსახილველად და შესამუშავებლად და საშემმოწმებელო საქმის მოსაწყობად, აგრეთვე მრეწველობისა და ტეხნიკის სფეროში ნორმალიზაციასა და სტანდარტიზაციასთან დაკავშირებული საკითხების შესამუშავებლად.

მუხ. 11. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის სათავეში სდგას დირექტორი, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტი.

მუხ. 12. ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების (შემმოწმებელი პალატების) სტრუქტურას და მოქმედების წესს განსაზღვრავს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტი.

მუხ. 13. ა/კსფსრ საზომ საწონთა პალატა და მისი ადგილობრივი ორგანოები (შემმოწმებელი პალატები) იმყოფებიან სახელმწიფო ბიუჯეტზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ხარჯთაღრიცხვით.

მუხ. 15. ყველა იმ საზომ-საწონთა და სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოთა თანაბრობისა, სისწორისა და სათანადო მხარებისათვის, რომელთა დადგენა და შემოწმება სავალდებულოა, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში არსებიან ადგილობრივი ორგანოები (შემმოწმებელი პალატები); ეს ორგანოები სამეცნიერო-სატეხნიკო დაწესებულებები არიან და იმყოფებიან ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატის უშუალო გამგებლობაში.

მუხ. 18. შემმოწმებელ პალატებს აქვთ ბეჭედი სათანადო რესპუბლიკის ენერბისა და თავიანთი სახელწოდების გამოსახულობით და სსრკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტთან მყოფი მთავარი საზომ-საწონთა პალატის მიერ დამზადებული განსაკუთრებული დალები შესამოწმებელ სამზომო ხელსაწყოებზე ნიშნის დასასმელად.

მუხ. 19. შემმოწმებელი პალატის სათავეში სდგას მმართველი, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტი.

მუხ. 20. შემმოწმებელ პალატებთან, საჭიროებისადამიხედვით და ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტის ნებართვით, გაიხსნება სახელოსნოები საზომ-საწონთა და სხვა სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოთა რემონტისათვის.

ბ. მე-14 მუხლი ამოიშალოს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ნოემბრის 13.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 303.

231. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტის დებულების დამატების შესახებ.

რადგანაც საზომ-საწონთა პალატები გადაიცა მოკავშირე რესპუბლიკების სასტანდარტიზაციო კომიტეტების გამგებლობაში (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 45 №-ი, მუხ. 466)—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტის დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 21 №-ი, მუხ. 210) მე-II კარს დაემატოს მე-9 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 9. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტის გამგებლობაში იმყოფებიან ა/კსფსრ საზომ-საწონთა პალატა და მისი ადგილობრივი ორგანოები ყველა მათი დაწესებულებითურთ“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ნოემბრის 13.
ტფილისი—სასახლე.

№ 304.

232. ქალაქების საგარეთუბნო საბჭოთა მეურნეობების დაფინანსების გეგმის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ-ში ქალაქების საგარეთუბნო მეურნეობების მშენებლობის დაფინანსების გეგმა დამტკიცებულ იქნეს 17.077.000 მან. რაოდენობით:

აქედან 1930 წ. განსაკუთრებული კვარტალისათვის . . . 4.377.000 მან.
1931 წლისთვის . . . . . 12.700.000 მან.

აღნიშნული თანხა გამოყოფილ იქნეს:

ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგ.
კავშირის სახსარიდან—60% . . . . . 10.246.200 მან.
პროფესიონალურ კავშირთა სახსარიდან 15% . . . . . 2.561.550 მან.
ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარიდან—25% . . . . . 4.269.250 მან.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაამთავრონ, არა უგვიანეს მომდინარე წლის დეკემბრის 1-სა, მიწის ნაკვეთების მიჩენა ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციისათვის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული რაოდენობით და თან მხედველობაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღონ საგარეთუბნო მეურნეობების მოთხოვნები ნიადაგის თვისებისა და ნაკვეთების მდებარეობის სფეროში და აგრეთვე ის აუცილებელი გარემოება, რომ ნაკვეთები შეგუებულ უნდა იქნეს მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სეზონში.

3. წინადადება მიეცეს მთავარი სამეაბმეო კომიტეტის ამერკავკასიის განყოფილებას და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—შეადგინონ პროექტები სამომხმარებლო კოოპერაციისათვის საბოსტნედ და საკვებისათვის მინდვრებად მიჩენილი მიწების მელიორაციის პროექტები და შეიტანონ ეს პროექტები ა/კსფსრ საკონტროლო ციფრებში და წყალსამეურნეო სამუშაოთა გეგმაში იმ ვალდებულებით, რომ სამუშაოები დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1931 წ. მარტის 1-სა, სოლანლუხის საბჭოთა მეურნეობის გამოკლებით, რომლის სარწყავებიც დამთავრებულ უნდა იქნეს 1932 წ. მარტის 1-თვის.

ყველა სამელიორაციო ხარჯი განისაზღვროს 2.573.000 მან. რაოდენობით; ამ თანხაში შედის სოლანლუხის საბჭოთა მეურნეობის სამუშაოთა ხარჯიც. წინადადება მიეცეს ამერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირს შეიმუშაოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებზე და ობიექტებზე საჭირო სახსარის განაწილების პროექტი და წარმოუდგინოს იგი დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 1-სა.

4. წინადადება მიეცეს ყველა ორგანიზაციას, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 23-ის დადგენილების შესაბამისად, შეასრულონ თავიანთი 1929/30 წლის ვალდებულებანი ამერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის საგარეთუბნო მეურნეობათა დაფინანსების სფეროში და თავიანთი ხვედრი შეიტანონ სახელმწიფო ბანკის ამერკავკასიის კონტორაში, ამერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის მიმდინარე ანგარიშზე, არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 1-სა

5. დაევალოს ამერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირს წარმოადგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში, არა უგვიანეს 1931 წ. თებერვლის 15-სა, დაწვრილებითი მოხსენება 1929/30 წელს და 1930 წლ. განსაკუთრებულ კვარტალში საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გეგმის აღსრულების ანგარიშოთურთ.

6. ყველი ის სახსარი, რაც გადაიდება ამერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის საგარეთუბნო მეურნეობების მშენებლობისათვის, თავმოყრილ იქნეს ამერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირში და ამავდროულად მიეცეს მას უფლება—მოახდინოს ხოლმე ცვლილებანი სახსართა განასსიგნებაში, როდესაც ცალკეული ორგანიზაციები არა საესებითი გამოიყენებენ ფულად სახსარს, ხოლო სხვა ორგინიზაციებს-კი ეს სახსარი ეჭირვებათ.

7. წინადადება მიეცეს ამერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირსა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გადასინჯონ სამომხმარებლო კოოპერაციის საგარეთუბნო მეურნეობების დაკრედიტების პირობები იმ მხრით, რომ იგი გაეთანაბროს საბჭოთა მეურნეობების კაპიტალური მშენებლობის დაკრედიტების პირობებს.ცვლილების პროექტი წარმოდგენილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში არა უგვიანეს 1930 წ. დეკემბრის 1-სა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დაევალოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს საგარეუბნო მეურნეობების პროექტები და ხარჯთაღრიცხვები განიხილონ ხოლმე პირველ რიგში და არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა მიღების დღიდან.

9. სამომხმარებლო კოოპერაციის საგარეუბნო მეურნეობების მშენებლობა—საშენი მასალით, კაპიტალური გაწყობილობით, თესლით, სასუქით, ინვენტარით და საკვები საშუალებით მომარაგების მხრივ—გათანაბრებულ იქნეს საპირველ-რიგო მშენებლობასთან.

10. დაევალოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—გამოჰყოს 1930 წ. განსაკუთრებულ კვარტალში საჭირო რაოდენობის საშენი მასალა 1929/30 წლის გეგმით დაწესებული საგარეუბნო მეურნეობათა მშენებლობის დასამთავრებლად, თანახმად ამერიკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირის განცხადებისა; ამასთანავე, ოთფეხი საქონლის შემოზიდვის გეგმის მიხედვით, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—შეიტანოს საშენი მასალით საპირველრიგო მომარაგების გეგმაში ამერიკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირის განცხადებანი 1931 წლისათვის და უზრუნველჰყოს მტკიცედ საშენი მასალის გაცემა ამ მეურნეობათა მშენებლობის გეგმის შესაბამისად.

11. მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და „სოიუზმიასო"-ს ამერიკავკავკასიის კონტორას მოაწყონ ცენტრალიზებული წესით სამომხმარებლო კოოპერაციის საგარეუბნო მეურნეობების მომარაგება მერძეული საქონლით, ჯიშიანი ღორებით და ფრინველით.

12. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ტრაქტორცენტრის ამერიკავკასიის განყოფილებას — შეიტანონ ტრაქტორცენტრის სამუშაოთა გეგმაში საგარეუბნო მეურნეობების მინდვრების მოხვნა საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს და ეს მოხვნა უზრუნველჰყონ თავის დროზე.

13. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიტანოს თავის გეგმაში—საწარმოო საშუალებებით სოფლის მეურნეობის მომარაგებული ამერიკავკასიის შერეული სააქციო საზოგადების ხაზით—ამერიკავკასიის სამომხმარებლო კოპერატივების კავშირის განცხადებანი 1930 წლისათვის საქირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესახებ სამერძეველო, სამეღორეო და სამეფრინველეო ფერმების გასაწყობად, და აგრეთვე შეასრულოს, არა უგვიანეს 1931 წ. იანვრის 1-სა, ყველა განცხადება, რაც წარედგინა ზემოხსენებულ სააქციო საზოგადოებას 1929/30 წ. გეგმის ანგარიშში.

14. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და აკსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყონ საგარეუბნო მეურნეობანი სპეციალისტების საქირო რიცხვით, ხოლო ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა უზრუნველჰყოს აგრეთვე საგარეუბნო მეურნეობები მუშა-ძალით—დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად წინასწარ შემუშავებული საკალენდრო გეგმის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. დაევალოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და „სოიუზ-ხლებ"-ის ამერიკავკასიის კონტორას—სრულად და თავის დროზე განახორციელონ ამერიკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირის განცხადებანი სამომხმარებლო კოოპერაციის საგარეთუბნო მეურნეობების საკვებით მომარაგების შესახებ 1930 წ. განსაკუთრებულ კვარტალში, აგრეთვე შეიტანონ საკვებით საპირველრიგო მომარაგების გეგმაში ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირის განცხადებანი 1931 წლისთვის.

16. ხუდათის (შოლლარის) სადგურის რაიონში საგარეთუბნო საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაფართოებასთან დაკავშირებით—დაევალოს ამერიკავკასიის რკინის გზების დირექციას—იხმაროს თავის დროზე ღონისძიება აღნიშნული სადგურის გამტარებლობის გაფართოებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ნოემბრის 17.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 318 №-ში 1930 წ. ნოემბრის 25-ს.

№ 305.

233. დაწესებულ ნორმაზე უფრო ნოტიო და დანაგვიანებული მისაღები ნედლი ბამბის ფასის მონაკლების გადიდების შესახებ.

„ბამბის მოკრეფის კამპანიის ჩატარების თაობაზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 28-ის დადგენილების 23 მუხლის შეცვლისა და თვით დადგენილების დამატებისათვის" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 12-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 277 №-ი, 1930 წ. ოქტომბრის 13-სა) მე-3 მუხლის შესაცვლელად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ზემოაღნიშნული დადგენილების მე 3 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 3. წინადადება მიეცეს მთავარი სამებამბეო კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში დააწესოს მისაღები ნედლი ბამბის სინოტივისა და დანაგვიანების უკიდურესი ნორმები და დაავალოს სამებამბეო კოოპერაციას—ისეთი ნედლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამბის მიღების დროს, რაც დადგენილ ნორმაზე უფრო ნოტიოა და დანაგვიანებული, დაიკლოს ფასს ფუთზე ერდ მანეთამდე.

ბამბა-საწმენდ ქარხნებსაც უფლება აქვთ მოახდინონ ფასის ასეთივე დაკლება სამებამბეო კოოპერაციისაგან ზედმეტად ნოტიო და დანაგვიანებული ნედლი ბამბის მიღების დროს. შეუთანხმებლობას სამებამბეო კოოპერაციასა და ბამბა-საწმენდ ქარხნის შორის—მონაკლების რაოდენობის თაობაზე—გადასწყვეტენ „ბამბის მოკრეფის კამპანიის ჩატარების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 აგვისტოს 28-ის დადგენილების 26 მუხლში აღნიშნული კომისიები“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ნოემბრის 23.
ტფილისი—სასახლე.

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 30-ის თარიღისა და 298 №-ის დადგენილება „ა/კსფსრ-ში ბამბის მოკრეფისა და დამზადების კამპანის მსვლელობის გამაძლიერებელ ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 296 №-ში 1930 წ. ნოემბრის 1-ს, დაბეჭდილ იქნება ა/კსფსრ კანონთა და განკარგულებათა კრებულის 21 №-ში.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 19. ტირაჟი 1.400